პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

..... ნოემბერი, 2026 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №15 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/07/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016550) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის 6^{17} პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6^{17}. ამ წესის მე-6^{16} პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება შესაძლებელია განხორციელდეს განსაკუთრებული დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში არაუმეტეს 0,1 კოეფიციენტით, ასევე გამწვანების რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით დამტკიცება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებული დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, სულ მცირე 0,2 გამწვანების კოეფიციენტის დაცვის პირობით. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით დამტკიცება შესაძლებელია

განხორციელდეს განსაკუთრებული დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, სულ მცირე კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობის 50%-ს დაცვის პირობით. ამ პუნქტით გათვალისწინებული, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის, გამწვანების და ავტოსადგომების აუცილებელი მინიმალური ოდენობების დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ავარიული საცხოვრებელი სახლის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ, იმავე ტერიტორიაზე ჩანაცვლების შემთხვევებზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ივანე მაისურაძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები და პროექტის მიღებით გამოწვეული შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

წინამდებარე დადგენილების მიღების მიზეზია ის გარემოება, რომ ავარიული დაადგენილებით დადგენილია ის მინიმალური ოდენობები, რომლები უნდა იქნას დაცული ავარიული საცხოვრებლის ჩანაცვლებისას. დეველოპერულ კომპანიების გარდა, ავარიული საცხოვრებლის ჩანაცვლებას ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის მიერ ავარიული საცხოვრებლის ჩანაცვლებისას გამოიკვეთა შემთხვევები, როცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ავარიულია, თუმცა მიწის ნაკვეთის ფართობი არ იძლევა პროექტის დამუშავებას, მაცხოვრებელთა ინტერესების სრულყოფილად დაკმაყოფილების მიზნით. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის 261-ე დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს მე-18 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ავტოსადგომების რეგულირებასთან დაკავშირებული გამონაკლისები ან/და დამატებითი პირობები დგინდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავარიული საცხოვრებლის მუნიციპალიტეტის მიერ ჩანაცვლების პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია წინამდებარე დადგენილების 6^{17} პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები არ გავრცელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ ავარიული საცხოვრებლის ჩანაცვლების შემთხვევებზე.

წინამდებარე დადგენილების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ ავარიული საცხოვრებლის ჩანაცვლების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

პროექტის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.

პროექტის მიღება არ საჭიროებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატეითი ფინანსური რესურსის გამოყოფას.

პროექტის განხორციელება არ მოახდენს პირდაპირ გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

ა.ბ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს

ა.გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის მიღებით ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

ბ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს:

ასეთი არ არსებობს.

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ:

საქართველოს ორგანული კანონების „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“, აგრეთვე „იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის №149 ბრძანების თანახმად, პროექტი არ საჭიროებს სახელმწიფო ორგანოს წინასწარ დასკვნას.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება:

ასეთი არ არსებობს.

ე) პროექტის ინიციატორი და წარმდგენია:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

პროექტის ავტორი და წარმდგენია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების
სამსახურის უფროსი **არჩილ გირკელიძე**